



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

პრიორიტეტების დოკუმენტი

2023-2026 წლები

შესავალი

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2023-2026 საბიუჯეტო წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2023 წლიდან მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად, ინფლაციის შესაბამისად შესაძლებელია გაიზარდოს მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის, 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები საშუალოვადიან პერიოდში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი პროგნოზები. ამასთან, საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - **მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში.** 1927 წლამდე ახლანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1930 წლიდან ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით — ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით — დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით საზღვრავს სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფართობია 890, 2 კმ². ტერიტორიის 38 979 ჰა მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რაც შეადგენს მთლიანი ტერიტორიის 44%-ს. ტყეებს უკავია 41 162 ჰა (46%).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13°C. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 650 მმ-იდან 1080 მმ-მდე. აქაური კლიმატისთვის დამახასიათებელია სეტყვა და გვალვა. მაღალმთიან ნაწილებში განვითარებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, იცის ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული, ნალექების წლიური მოცულობა კი 1200-1800 მმ-ს აღწევს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ზედაპირული და გრუნტის წყლებით. მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე ალაზანი, რომელიც ჩამოედინება გურჯაანისა და სიღნაღის

მუნიციპალიტეტების საზღვარზე. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია კაბალი, მაწიმისწყალი ლაგოდეხისწყალი, არეში და აფენისხევი.

2014 წლის მდგომარეობით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 41 678 კაცს, აქედან ქალაქში ცხოვრობს 5918 კაცი, ხოლო სოფლად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 91% (35760 კაცი). მუნიციპალიტეტში 64 დასახლებაა, აქედან 1 ქალაქია და 63 სოფელი. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 58 კაცი/კმ², რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) ოდნავ ჩამოუვარდება.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 41678 მოსახლიდან 20953 ქალბატონია, ხოლო 20725 მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 5918 პირი, მათ შორის 2752 მამაკაცი და 3166 ქალბატონი. სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 35760 მცხოვრები მათ შორის 18201 მამაკაცი და 17559 ქალბატონი.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებში

შემოსულობები

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2021 –2026 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
შემოსულობები სულ	25,822.1	33,137.6	18,774.2	20,177.4	21,657.2	23,177.9
შემოსავლები	25,969.2	28,742.1	18,774.2	20,177.4	21,657.2	23,177.9
გადასახადები	13,728.9	16,407.0	17,641.3	18,955.1	20,379.4	21,868.1
საშემოსავლო გადასახადი	-	-				
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11,908.4	14,452.0	15,641.3	16,955.1	18,379.4	19,868.1
ქონების გადასახადი	1,820.6	1,955.0	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0

გრანტები	11,121.4	11,072.1	342.9	347.3	352.8	354.8
საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები						
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	11,121.4	11,072.1	342.9	347.3	352.8	354.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	400.0				
მიზნობრივი ტრანსფერი	367.2	846.6	342.9	347.3	352.8	354.8
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	10,754.2	9,825.5	-	-		
სხვა შემოსავლები	1,118.9	1,263.0	790.0	875.0	925.0	955.0
არაფინანსური აქტივების კლება	1,199.3	845.0	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	- 1,346.3	3,550.5	-	- 0.0	- 0.0	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)						

გადასახდლები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2023-2026 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გადასახდლები პრიორიტეტების მიხედვით

2021 –2026 წლებში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
გადასახდლები სულ	27,708.1	37,181.4	18,774.2	20,177.4	21,657.2	23,177.9
ინფრასტრუქტურის განვითარება	14,706.4	22,736.9	4,836.0	6,265.7	7,205.4	8,235.6
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,277.2	1,737.3	2,005.0	1,630.0	1,700.0	1,780.0
განათლება	4,726.0	4,110.6	4,000.0	4,300.0	4,680.0	5,000.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,663.4	2,918.2	1,628.5	1,653.5	1,688.5	1,728.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,835.4	1,398.2	1,340.7	1,365.0	1,400.5	1,462.0
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,499.7	4,280.1	4,964.0	4,963.2	4,982.8	4,971.8

ბიუჯეტის ბალანსი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2021 –2026 წლებში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
I. შემოსავლები	27,855.2	32,785.9	18,774.2	20,177.4	21,657.2	23,177.9
გადასახადები	13,728.9	16,407.0	17,641.3	18,955.1	20,379.4	21,868.1
გრანტები	13,007.4	15,115.9	342.9	347.3	352.8	354.8
სხვა შემოსავლები	1,118.9	1,263.0	790.0	875.0	925.0	955.0
II. ხარჯები	11,034.4	13,825.1	14,933.8	15,270.3	15,932.4	16,490.1
შრომის ანაზღაურება	1,548.1	2,739.8	3,167.0	3,167.0	3,167.0	3,167.0
საქონელი და მომსახურება	1,491.0	3,020.6	2,436.5	2,451.4	2,575.9	2,612.9
პროცენტი	49.4	44.1	22.1	15.4	8.5	1.7
სუბსიდიები	5,040.2	6,482.5	7,749.5	8,062.5	8,576.5	9,044.5
სოციალური უზრუნველყოფა	597.9	583.9	644.0	653.0	662.5	683.0
სხვა ხარჯები	2,243.0	809.2	749.7	756.0	777.0	816.0
III. საოპერაციო სალდო	16,820.8	18,960.8	3,840.4	4,907.1	5,724.8	6,687.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	15,400.2	22,426.9	3,756.0	4,822.7	5,640.4	6,640.6
ზრდა	16,599.4	23,271.9	3,756.0	4,822.7	5,640.4	6,640.6
კლება	1,199.3	845.0	-	-	-	-
V. მთლიანი სალდო	1,420.6	- 3,466.1	84.4	84.4	84.4	47.2
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1,346.3	- 3,550.5	-	0.0	0.0	-
ზრდა	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-
კლება	- 1,346.3	3,550.5	-	- 0.0	- 0.0	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,346.3	3,550.5	-	- 0.0	- 0.0	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 74.3	- 84.4	- 84.4	- 84.4	- 84.4	- 47.2
კლება	74.3	84.4	84.4	84.4	84.4	47.2
საშინაო	74.3	84.4	84.4	84.4	84.4	47.2
სესხები	74.3	84.4	84.4	84.4	84.4	47.2
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	- 0.0	- 0.0	- 0.0	0.0	0.0	- 0.0

2021-2022 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2021 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთის ცვლილების გეგმა განისაზღვრა 30943.2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29054.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 94%-ი.

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 28647.0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29054.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 101 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 27493.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (27855.2 ათასი ლარი) 101 პროცენტია. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 13728.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 12952.2 ათასი ლარის 106 პროცენტია. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დამატებითი ღირებულების გადასახადზე მოდის. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 11908.4 ათასი ლარი, ქონების გადასახადიდან მიღებულია 1820.6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 771.6 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 1039.9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 9.1 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 13007.4 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 367.2 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერი - 10754.2 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) 1886.0.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1118.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1071.0 ათასი ლარის 104%-ია.

ათასი ლარი

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები									
დასახელება	2021 წლის გეგმა		2021 წლის დაზუსტებული გეგმა			2021 წლის ფაქტი			2021 წლის შესრულება %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	
შემოსავლები	13,040.3	13,040.3	27,493.7	14,434.5	13,059.2	27,855.2	15,215.0	12,640.2	101%
გადასახადები	12,080.3	12,080.3	12,952.2	12,952.2	-	13,728.9	13,728.9	-	106%
გრანტები	230.0	230.0	13,470.5	411.3	13,059.2	13,007.4	367.2	12,640.2	97%
სხვა შემოსავლები	730.0	730.0	1,071.0	1,071.0		1,118.9	1,118.9		104%

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2021 წელს მობილიზებული იქნა 1199.3 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 280.3 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 917.0 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 2.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობების 4.1 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის თანხამ შეადგინა 2 318 689 ლარი, მათ შორის: ადგილობრივი სახსრების ნაშთი 1 548 536 ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი 770 153 ლარი, რომელიც გაიწერა ხარჯებში და დაზუსტდა წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილებების დროს.

ხოლო წლის დასასრულისთვის არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3 665 086 ლარი, მათ შორის საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 808942 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებიდან დარჩენილი ნაშთის ოდენობა შეადგენს 2 856 144 ლარს.

2021 წელს გადასახდელების საკასო შესრულების - 90%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 27708.1 ათას ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2333.1 ათასი ლარი;
- ✓ სამოქალაქო თავდაცვა 92.3 – ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –10309.5 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 1226.1 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 4448.1 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 140.2 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 1663.4 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –4726.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –2695.2 ათასი ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში(ათას ლარებში)		
დასახელება	2021 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2333.1	8.4
თავდაცვა	92.3	0.3
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	-
ეკონომიკური საქმიანობა	10309.5	37.3
გარემოს დაცვა	1226.1	4.4
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4448.1	16.1
ჯანმრთელობის დაცვა	140.2	0.5
დასვენება და კულტურა და რელიგია	1663.4	6.0
განათლება	4726.0	17.1
სოციალური დაცვა	2695.2	9.8
სულ ხარჯები	27633.8	

2021 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 27708.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (30943.2 ათასი ლარი) 90%-ია. მათ შორის:

- ✓ 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 2499.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3196.1 ათასი ლარი) 78%-ია.
- ✓ 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 14706.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (16194.6 ათასი ლარი) 91%-ია.
- ✓ 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1277.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1310.4 ათასი ლარი) 97%-ია.
- ✓ 04 00 განათლება-4726.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (4807.0 ათასი ლარი) 98%-ია.
- ✓ 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1663.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2426,7 ათასი ლარი) 69%-ია.

- ✓ 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2835.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (3008,4 ათასი ლარი) 94%-ია.

2021 წელს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის პროგრამებით ჯამში ისარგებლა 2182 -მა ბენეფიციარმა, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 809,2 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ ჰემოდიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 29.8 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 27-მა ბენეფიციარმა.
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 143.2 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 544 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ სამედიცინო კვლევების, სტაციონალური მომსახურების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 288.9 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 755-მა ბენეფიციარმა.
- ✓ უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 48.0 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 65-მა ბენეფიციარმა.
- ✓ სტუდენტების დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 11.0 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 21 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 104.6 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 140 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 12.3 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 65 -მა ბენეფიციარმა.
- ✓ ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 4.1 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 25-მა ბენეფიციარმა.
- ✓ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 31.3 ათასი ლარი, პროგრამით 26-მა ბენეფიციარმა.
- ✓ უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 36.4 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 354-მა ბენეფიციარმა.
- ✓ ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 0.5 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.
- ✓ სარიტუალო მომსახურების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 2.7 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) დახმარების პროგრამის განხორციელების მიზნით მიიმართა 31.9 ათასი ლარი, პროგრამით ისარგებლა 154-მა ბენეფიციარმა.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- 24 გზის/ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი.
- სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერისა და საგზაო ნიშნების მოწყობის 1 პროექტი.
- ქუჩის კეთილმოწყობის 1 პროექტი (გამწვანება, ბორდიურების მოწყობა).
- გზის მოხრეშვის 1 პროექტი.
- მუზეუმის რეაბილიტაციის 1 პროექტი (რეაბილიტაცია გრძელდება 2022 წელსაც).
- საბავშვო ბაღებში საქვაბეების მშენებლობის 9 პროექტი.
- 2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.
- გარე განათების ახალი ხაზობრივი ნაგებობის მოწყობის 12 პროექტი.
- სანიაღვრე არხების მოწყობის 8 პროექტი.
- ჭაბურღილის მოწყობის 2 პროექტი.
- სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის 7 და ჭების მოწყობის 1 პროექტი.
- სკვერების მოწყობის 16 პროექტი.
- 2 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
- 9 სპორტული ობიექტის მოწყობა/რეაბილიტაცია.
- 3 ამბულატორიაში გარე კომუნიკაციების მიყვანა შენობამდე.
- ხიდის რეაბილიტაციის 1 პროექტი.

▪ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 4156.2 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 საბავშვო ბაგა-ბაღი და ირიცხება საშუალოდ 1490-მდე აღსაზრდელი).

▪ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის პროგრამების განხორციელების მიზნით მიიმართა 1663.4 ათასი ლარი.

▪ სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 112.8 ათასი ლარი.

▪ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ოდენობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 68.6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება

მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 36 965 632 ლარს. რაც შეეხება 2022 წლის 9 თვის ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 26 338 529 ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის 9 თვის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 23 231 807 ლარი, შესრულებამ შეადგინა 20 195 426 ლარი და გეგმა შესრულდა 87 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 10 964 400 ლარი, შემოვიდა 11 961 782 ლარი და გეგმა შესრულდა 109 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 503 000 ლარი, შემოვიდა 1 096 638 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 218 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 7 137 005 ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების გეგმა იყო 240 000 ლარი შესრულებამ შეადგინა 845 238 ლარი, გეგმა შესრულდა 352 პროცენტით.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 2 866 722 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 26 338 529 ლარი, შესრულებამ შეადგინა 23 907 385 ლარი და გეგმა შესრულდა 91 პროცენტით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 26 338 529 ლარი, შესრულებამ შეადგინა 17 064 903 ლარი, გეგმა შესრულდა 65 პროცენტით, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულ პრიორიტეტების მიხედვით:

- **01 00** მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების გეგმა იყო 2 988 708 ლარი შესრულებამ შეადგინა 2 470 165 ლარი, გეგმა შესრულდა 83 პროცენტით, მათ შორის:
 - ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 772 500 ლარი, შესრულებამ შეადგინა 731 216 ლარი და გეგმა შესრულდა 95 პროცენტით.
 - მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 1 967 800 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 593 141 ლარი და გეგმა შესრულდა 81 პროცენტით.
 - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა იყო 101 300 ლარი გახარჯული იქნა 85 044 ლარი და გეგმა შესრულდა 84 პროცენტით.
- **02 00** ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 15 267 282 ლარი, შესრულებამ შეადგინა 8 047 365 ლარი (53%).
- **03 00** დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 1 329 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 996 338 ლარი (75%).
- **04 00** საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 3 195 141 ლარი, შესრულებამ შეადგინა 2 803 403 ლარი (88%).
- **05 00** კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 2 353 436 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 735 605 ლარი და გეგმა შესრულდა 74 პროცენტით.
- **06 00** ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 204 962 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 012 208 ლარი (84%).
- ✓ მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვას მოხმარდა 56 624 ლარი.
- ✓ მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 155 381 ლარი.

2023 წელს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება გზების მშენებლობა, ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული ნაგებობების მშენებლობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია და ა.შ.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის, გზების მოვლა-შენახვისათვის, ახალი გზების მშენებლობისათვის და შიდა ქუჩების რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 8 841 206 ლარი, შესრულებამ შეადგინა 5 031 652 ლარი და გეგმა შესრულდა 57 %-ით;

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 645 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 237 747 ლარი და გეგმა შესრულდა 37 %-ით;
- სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 3 606 959 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 148 270 ლარი და გეგმა შესრულდა 32%-ით;
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია - 168 300 ლარი, შესრულებამ შეადგინა 133 257 ლარი და გეგმა შესრულდა 79%-ით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 2 853 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 2 549 195 ლარი და გეგმა შესრულდა 89 %-ით; (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 საბავშვო ბაგა-ბაღი და ირიცხება 1476 აღსაზრდელი).
- დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 857 500 ლარი, შესრულებამ შეადგინა 682 205 ლარი და გეგმა შესრულდა 80%-ით;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 266 940 ლარი, შესრულებამ შეადგინა 143 252 ლარი და გეგმა შესრულდა 54%-ით;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის 9 თვის გეგმით გათვალისწინებულია 2 049 576 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 564 789 ლარი და გეგმა შესრულდა 76 %-ით;

თავი III. ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14,706.4	22,736.9	4,836.0	6,265.7	7,205.4	8,235.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,131.0	12,568.1	2,351.0	3,172.2	3,970.4	4,825.6
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	0.0	106.6	200.0	200.0	250.0	250.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	9,126.8	12,315.6	2,071.0	2,892.2	3,640.4	4,495.6
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	4.2	145.9	80.0	80.0	80.0	80.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,678.1	1,481.8	1,015.0	1,225.0	1,235.0	1,350.0

02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	74.3	98.9	115.0	125.0	135.0	150.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	1,603.8	1,382.9	900.0	1,100.0	1,100.0	1,200.0
02 03	გარე განათება	872.5	1,178.2	1,045.0	1,133.5	1,205.0	1,235.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	173.4	232.3	295.0	230.0	245.0	260.0
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	699.0	945.9	750.0	903.5	960.0	975.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.0	100.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	0.0	100.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04 02	ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.0	-	-	-	-	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	610.5	806.7	125.0	125.0	125.0	125.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	551.1	329.7	25.0	25.0	25.0	25.0
02 05 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	59.4	477.0	100.0	100.0	100.0	100.0
02 05 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1,178.6	1,467.5	0.0	0.0	0.0	0.0
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	797.7	4,814.6	0.0	240.0	270.0	300.0
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	438.1	320.0	300.0	370.0	400.0	400.0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უმეთვალყურეოდ დარჩენილ ცხოველებზე ზრუნვა.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,277.2	1,737.3	2,005.0	1,630.0	1,700.0	1,780.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	999.9	1,131.4	1,270.0	1,310.0	1,350.0	1,400.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	109.8	194.1	215.0	220.0	250.0	280.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	116.3	331.8	420.0	0.0	0.0	0.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	51.2	80.0	100.0	100.0	100.0	100.0

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
04 00	განათლება	4,726.0	4,110.6	4,000.0	4,300.0	4,680.0	5,000.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,747.0	3,519.0	4,000.0	4,300.0	4,680.0	5,000.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,409.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	განათლების ღონისძიებები	569.8	591.6	0.0	0.0	0.0	0.0

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,663.4	2,918.2	1,628.5	1,653.5	1,688.5	1,728.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	510.6	469.3	100.0	120.0	130.0	150.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	32.0	57.7	80.0	95.0	105.0	120.0
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	1.1	20.0	20.0	25.0	25.0	30.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	477.5	391.6	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,146.3	2,414.2	1,435.5	1,438.5	1,453.5	1,468.5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	613.3	951.1	1,107.0	1,110.0	1,125.0	1,140.0
05 02 02	სახელოვნო განათლების ხელშეწყობა	192.4	236.2	288.5	288.5	288.5	288.5
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	300.7	1,186.9	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	40.0	40.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	6.4	34.7	38.0	40.0	50.0	55.0
05 04	„ლაგოდების მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება	0.0	0.0	55.0	55.0	55.0	55.0

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,835.4	1,398.2	1,340.7	1,365.0	1,400.5	1,462.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	140.2	231.2	180.0	180.0	180.0	180.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	132.4	145.3	180.0	180.0	180.0	180.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	7.8	85.9	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	2,695.2	1,167.0	1,160.7	1,185.0	1,220.5	1,282.0
06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	29.8	71.4	75.0	80.0	90.0	105.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	143.2	118.4	173.2	182.0	190.0	205.0
06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	288.9	330.0	330.0	330.0	330.0	330.0
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	48.0	54.5	75.0	78.0	82.0	85.0
06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	11.0	115.0	125.0	125.0	125.0	130.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	104.6	121.5	160.0	160.0	160.0	160.0
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	12.3	13.0	14.5	16.0	20.0	22.0
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	4.1	5.0	5.0	6.0	7.0	9.0
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	31.3	56.1	60.0	60.0	60.0	70.0
06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	36.4	40.0	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	0.5	1.0	3.0	3.0	3.0	4.0
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	2.7	7.0	7.0	7.0	7.0	8.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	31.9	54.1	73.0	78.0	86.5	94.0
06 02 14	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	1,950.5	170.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 15	სოციალური მიზნების მქონე პროექტების თანადაფინანსება	0.0	10.0	10.0	10.0	10.0	10.0